

ცურალსონი

ცურალსონი დამატება.

გაზეთის № 242. გვირა, 27 თებერვალი 1911 წ. დამატების № 42

„სახალხო გაზ.“ თისთვის საგანგმობოდ გადაღმიშვლი.



დანგრეული სახლი რომელიც ვერაზე მამადავითის მთიდან შოსხლე-
რილმა კლდემ დაიტანა.

დავითის გაღმობი

რა დიდს სულიერს ტანჯვას განიკუდის საცოდავი და
გითი! როცა ვეულრებ მას, შიშით ვივსები, რაღაცა გა-
მოურკვეველ შიშით! ასე მგონია, დავითში ღრმად და შე-
სამჩნევად იხარება ის, რაც ჩემში მალული და უჩინარი!..
ნუ თუ დავითისებური ხვედრი მაწევს? არ მინდა, არა! და-
ვითის სულიერი ტანჯვა ჩემში რომ ხდებოდეს,—ვერ გაუ-
ძლებდი. დავითის ოვალების დანახვა მაშინებს!!

ვფიქრობ, რათა სწობს ადამიანი? რად გამოჰქრთის მისი
თვალებიდან მწუხარება, რად გადაჰქრავს ზუბლზე გულის
ამღვრევი ზოლი სევდისა და სულის ვაებისა?.. დავითის არ
ვხები. საზოგადოთ ადამიანზე ვამბობ.

ამბობენ უველას თავისი დარღი აქვს, უმველი ადამიანი
სულიერ წუხილს თავისებურად განიცდის; ბევრს სხვევია
დაღვრემა, სევდიანობა, ბევრს კი სულიც არაო. იქნება
ესეც იყოს, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს არ არის ღრმა და კეშ-

მარიტი ახსნა კაცის სულის ვაებისა!! მე მგონია, რომ ქვეყ-
ნიდ არსებობს საერთო, საკაცობრიო ვაება, რომელსაც ვერ
ასცდება ვერც ერთი ადამიანი; ეს ვაება ერთში უფრო ძა-
ლიან იჩენს თავს, ვიდრე მეორეში... კერძო ადამიანი მხო-
ლოდ საშუალებაა, რომლის შემწევითაც თავს იჩენს საერ-
თო, საკაცობრიო სევდა. ვამბობ ამას და კიდევაცა მწამს,
რომ ეს ასეა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მე მხოლოდ
ფაქტი აღნიშნე; აღნიშნა აღვილია, საჭმე ახსნაშია, გან-
მარტინაში!!

მაშ, რათა სწობს, რად იტანჯება ადამიანი?..

... დავითი ფრიცდ პატიოსანი კაცია! მის თჯახში
ვცხოვრობ. დავითს ორი შეილი ჰყავს და იმათ ვასწავლი.
დავითი ნასწავლია, განვითარებული. უმაღლესი სასწავლე-
ბელი არა აქვს დამთავრებული, მაგრამ ეს გარემოება ნაკ-
ლად არ ემჩნევა მის ღრმა გონებას. პირიქით, ეს მეტს თა-
ვისუფლებას აძლევს მის ჭერა-გონებას. შვილებიც ლირსუ-
ლი ჰყავს... ცოლი პატიოსანი, ლამაზი, გულკეთილი... და-
ვითი მდიდარია!..

გაშ რად არის იგი სევდიანი? არა, ვინც დავითის სევ-
დაზე ლაპარაკობს, ის მოცლილი აღამიანია და ცრუ...
**

სიყრმიდანვე მჩვევია უზველივეს გაგება. მაგრამ ეს ვის
არ სჩვევია? ცნობის-მოყვარეობა აღამიანის საერთო თვისე-
ბა, მაგრამ რანაირი ცნობის-მოყვარეობა? საქმეც ამაშია!..
მე მიზეზებს ვეძებ და შედეგს მაინცა და მაინც ძალინ არ
ვეკიდები. სხვებს კი შედეგი უფრო აინტერესებს... მე სხვებს
არა ვევვარ.

ჰმ და, იმ ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და და-
ვითის სევლის გაგება მოვისურვე. ვატყობ, მასი ტანჯვა უბ-
რალო ტანჯვა არ არის.

ეს განზრახვა უზღელობაში არ ჩამომერთმევა, მგონია!
მით უმეტის, რომ არავის ვეტყვი მას, — არც განზრახვას,
და არც განზრახვის შედეგს, თუ კი მოჰყვა მას ჩამე
შედეგი...

ჩემის აზრით საუკეთესო ადგილი დავითის მამულში
„დავითის მაღლობია“. იგი მდინარის პირად მდებარეობს.
მარტო მე კი არა, ბევრს უნახავს დავითი ამ მაღლობზე
მჯდარი, მარტოდ-მარტო... ერთხელ ვუთხარი:

— ჩა მშევნიერი ადგილი აქვს, დავით, ამორჩეული
მოსასვენებლად!

— ჰმ! მოსასვენებლად?.. არც ისეთი!.. არ მომწონს.
— მიპასუხებლა ხოლმე დავითი ყოველთვის, როდესაც კი
ამ საგანზე ჩამოვუგდებლი ლაპარაკს.

მესმოდა მისი სევდა, მაგრამ არ მინდოდა ეს დავითს
გაგეო. დავითიც კარგად ჰქედავდა, რომ მე მის გულის ნა-
დების გაგებას ვცდილობდი; ჰქედავდა მას, არაფერს მეუბ-
ნებლადა, მაგრამ არც მიხსნიდა თავის გულს. ზდილობიანი
კაცი იყო დავითი, და ასეთ შემთხვევაში ლაპარაკს უმაღ
გამოსცვლიდა ხოლმე.

მახსოვეს ერთი საღამო, — კვლავ განვიზრახვ დავითის
სევდის გაგება. დავითმაც კვლავ არაფერი მითხრა, მაგრამ
იგი თვალებმა გასცა. მის თვალებიდან ამოვიკითხე რაღაც
ისეთი, რამაც შემაკრთო, შემაშინა, ენა ჩამიგდო, გამა-
ჩუმა.

დავითმა ძირს დახარა თვალები, გაჩუმდა. კარგს ხანს
ესდღმიდით ორივე.

მერს მოთხოვა:

— შენი მტერი თუ, ასეთი, დღეები გაგრძელდა, წარ-
ღუპა სოფელი!

— მეც ასე მგონია... მაგრამ უსათუოდ შეიცვლება...

— ხო, შეიცვლება, რა თქმა უნდა!

იმ საღამოს შემდეგ გადავწყვიტე ფრთხილი ვყოფი-
ლვიყავი: — დავითს ვთვალებული ჰქონდა ჩემი განზრახვა.

**

ერთ საღამოს დავითი იჯდა თავის მაღლობზე და და-
ფიქრებული სახით გადაჟურებდა მდინარის მიღმოს. მისი
ცოლი, ელისაბედი, მც ახლო მუთაქაზე იჯდა და გაზეთს
კითხულობდა. მე იმ დროს სახლის აიგანზე ვიყავი და ცოლ-
ქმარის ვუყურებლი შორიდან.

— ბატონი იუსტინ! დავითი გთხოვთ მაღლობ-
ზე მობრძანდეთ, — გამომძახა ოთახიდან დავითის სტუმარმა,
18 წლის დარიკომ.

— თქვენ რა იცით? იქ ხომ არა ჰყოფილხართ? — ვკითხე.

— უკაცრავად! რომ არ ვიცოდე, არც გეტყოდით!!

— წყვით მიპასუხა დარიკომ.

— აბა, საიდან იცით?

— ღმერთმანი მართალს ყამბობი იქსტინემ კარგი ლა-
პარაკი იცის!

— მაშ, ნება მიბოძეთ წავიდე, ვკითხო და ნამდვილი
გავიგო.

— არ გეკადრებათ, ბ. იუსტინე, არ გეკადრებათ!

— არა, დარიკო, გეხუმრეთ, თორებ მე თვითონ და-
გინახეთ, როგორ მობრძოდით აქეთ მაღლობიდან!!

— დაინახეთ?

— თუ არ ვსცდები, თქვენ იყავით, ამას წინად რომ
მობრძოდით მაღლობიდან?

— ფეხ-შიშველი?

— განა?

— თქვენ საშიში კაცი ხართ ტყუილებიც გცოდ-
ნია!.. ხა, ხა, ხა! წადით, წადით მაღლობზე!

— დავითისა არ გეშინიათ? — ვკითხე ერთხაშიდ.

დარიკო წამოწითლდა. მის მშვენიერს პირსახეს უმწეო-
ბა დაუტყო; თავის გასამართლებლად რაღაცა უნდოდა ეთ-
ქვა, მაგრამ ვერ მიიახრია. ბოლოს, როცა აივნიდან დავეშ-
ვი, გაღმომძახა:

— თქვენ მე კიდევ მოგელაპარაკებით! — ახლა კი სიბ-
რახე, გულ-მოსულობა დაეტყო მის ხას.

ვუთხარი:

— მაღლობზე არ მივდივარ!! მეც მინდა თქვენთან
მოლოპარაკება!

მაღლობზე მართლაც არ წავსულვარ. წავედი ტყისკენ,
რომელიც მაღლობის პირდაპირ მდებარეობდა, დავითის მა-
შულის გახლობლად.

გზას გადაეუხეიო და ტყეში შეველ. წამოქცეულ ხეებს
ზედ გადავუკლიდი ხოლმე, ბებერ ხეებს ძირში დავხედავდი,
ახლების მთელს სიგრძეს ავაყოლებდი თვალს, და ასე შეუმ-
ნევლად ტყის მეორე ბოლოზე კი გავედი. იქვე სოფლის
ზარა-გზა უვლიდა ტყეს. ზარას იქით სოფელი იწყებოდა.
უკან დავბრუნდი და, რაღაცაც დალლილი ვიყავი, ერთს
წამოქცეულს ხეზე დავჯები.

სასიამოვნო ხალამო იყო. ტყის გრილმა ნიავმა იმოქ-
მედა ჩემზე, ფიქრებში გავერთო.

„რად გაშითლდა დარიკო?“

„ვინ იყო დავითი? ვინ არის დავითი?“

„თავის გზას ამცდარი კაცი, თუ უმოწყალო ცხოვრე-
ბით გასრესილი?“

„ვაბუკობის დროს სულის აღმაფრენა ხომ არ აგონ-
დება?“

„იყო კი ადესმე მასში მოთხოვნა სულისა, რომელიც
არ აძინებდა შას, იწვევდა, ეძახდა??“

„გასრა პასუხი მან იღუმალს ხმას? გაეხმაურა ცით
მოწოდებას?“

„მოინცობა და ვერ შესძლო?“

„იქნება ღმერთის მკვლელია?“

„იქნება სურკილია დავითი!.. მხოლოდ სურვილი და
მეტი არაფერი?“

„იქნება ამოცანა იყი, უბრალო ამოცანა, როგორც
თითოეული მომაკვდავი?“

„ვინ იცის?“

**

ხშირად მოხდებოდა, რომ დავითი სავაჭმოდ არ გა-
მოვიდოდა ხოლმე თავის თთახიდან, ჩაიკეტავდა თთახს უ-
იქ რჩებოდა. ხნიდისხან გაგაფრთხილებდა, მძინავს,
ჩუმად იყავითო. ალბად უქეიფოთ არისო, — იტყოდა ხოლმე
ამისთანა შემთხვევაში ელისაბედი.

იმ საღამოს, როდესაც მე დარიკო ერთმანეთს გა-
მოველაპარაკეთ, დავითი სავაჭმოდ არ გამოსულა.

ელისაბედი აღელვებული იყო, დარიკო არაფერს ამ.
ბობდა; ყველანი ჩუმად ვისხედით.

— შენ მიიღე, შენს თავზე, უარეს... მე მერიდება! —
თითქმის ყურადღისუფლი დარიკომ ელისაბედს.

— კარგია, გაჩუმდი, არაფერი იქნეა! — უპასუხა ელი-
საბედმა.

დარიკომ გაღმომხედა, ოდნავ გაიღიმა და გაჩუმდა.

— მიირთვით, იუსტინე, რა არის, რომ არასა სჭამო?

— მომმართა ელისაბედმა.

— გმიღლობთ, ბევრი გიახლით.

— ცოლის შერივა რომ უაპიროს, მე მეითხეთ რჩევა.

— რას ბრძანებთ, რა დროს ჩემი ცოლია?

— სიბერეში შევსდგით ფეხი? — დაცინვის კილოთი შე-
მეკითხა დარიკო.

— გირჩევთ ისეთი ქალი შეირთოთ, რომელიც მეგობ-
რაბის გაგიშვეთ. — მითხრა ელისაბედმა.

— ცოლის შერთვას არ გაპირებ. ვერ გამიგია, რა შუა-
შია ჩემი ცოლის შერთვა?.. რათ დამატევეთ?

— უკველ შემთხვევისათვის გითხარით!! მე და ჩემი
ქმარი მეგობრები არა ვარ.

— მე კი მგონია, რომ თქვენ შორის საუკეთესო გან-

წყობილებაა...

ასეთს ლაპარაკში ვიყავით, როდესაც დავითი წამოგვადა გა თავზე; სახე გაფითრებული ჰქონდა.

— რა ამბავია, არა გძინავს? — შეეკითხა შეშინებული ელისაბედი ქმარს.

დარიკომ თავი დახარა, ადგა და ჩქარის ნაბიჯით ოთახიდან გასვლა დაპირა.

— სად გარბიხარ, დარიკო! ? — მრისხანედ შეეკითხა მამავალ დარიკოს.

— ეხლავე მოგორან, ეხლავე, ბატონი, ოლონდ ნუ გამიწყრები!! — მოკრძალებით უპასუხა დარიკომ.

დავითი ერთს ხანს უყურებდა მას, მერე მობრუნდა ლა თახიდან ისე გავიდა, რომ ხმა არ ამოულია.

ელისაბედი დარჩა გაშეშებული. შევატყვე, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა. უხერხულად ვიგრძენი მასთან დარჩენა.

დავითის ოთახში ბნელოდა. ავდექი და ჩემს ოთახისკენ გავეშურე.


— ერთიც ვნიხო ლამე თავისი საიდუმლოება ფანჯრა-დან გადასცლისათან ვე თავს დამკა? მაშინ?

მაინც ფრთხილად გადავეშვი. ლამის გრილშა ნიავა დამბერა.

დავითის ოთახში სინათლეა. სხანს, არა სძიავს. იქნება, ლამპის ჩაქრობა დაავიწყდა. როგორი მქრალი სინათლეა დარიკოს ოთახში? ალბალ, ლამპის პატარა ლამპა უნთია ბუსარში!.. დარიკოს სძინავს და მის უმანკო პირსახეს თუნევ ეკარება მქრალი სინათლე. რა მშვენიერი სანახავი იქნება დარიკო! ქანწელის თეთრი გული თავისუფლად სუნთქვას... დარიკოს სძინავს, ცხადია, მაგრამ დავითს კა არ სძინავს! ! რას აკეთებს? რატომ არ უნდა ეძინოს? ალბალ ელისაბედია დავითთან.

რაღ იცის იმ ფრინველმა ფეხით ჩამოკიდება და გულსაკლავად წივალი? ნუ თუ მისი რიმე ჰმართებს დედამიწას? იქნება დასჯილია? მაგრამ დასჯა ხომ... ბუნებამ დასჯა განა იცის?.. მაშ, რაღ სწივის ის ფრინველი?

მოდი, დავითის ოთახში შევიხედავ, რა იქნება?.. სირ-



მოსაოცის უიზერსილი დათხოვილი პრაზესორები:

ა. ა. მაცხელოვანი (ზეგით), გ. ა. მეზებიანი (მარცხნით) და კ. ა. მინაკოვი (მარჯვნით).

**

ჩემს ოთახში ბნელოდა. წამოვწექი ლოგინზე და სმენად გადავიქცი.

დავითის სახე შედგა თვალშინ. იგი ნამდვილად გიუ უნდა იყოს არა ნორმალური ადამიანი! რასა ჰეგდა მისი თვალები? რა საშინელი გამომეტყველება ჰქონია, როდესაც ელისაბედს უმზერდა! — დარიკო? .. ა? რას ნიშნავს? ..

ძილი არ მეკარებოდა. ფიქრებმა შორს წარმიტაცეს, დამატყვევეს.

გადავწყვიტე მომეშორებინა ისინი თავიდან. ეზოში გასულა დავპირე. ხმაურობის ატეხა არ მინდოლა, და ამიტომ ფანჯრიდან გადახტომა განვიზრახე. ჩემი ოთახის ფანჯრაში იყურებოდა. მიველ და გადავიხდე: ლამე წყნარი, საიდუმლო, ლამაზი დასწოლოდა არე-მარეს. თუმცა წარმტაცი, მშვენიერი იყო იგი, მაგრამ შიში ვიგრძენი მის წინაშე, გაურკვეველი, უმიზეზო.

ცხვილია?

— იქნება ლამპის ჩაქრობა დაავიწყდა?

უცბიდ ვანათებულ ფანჯრას წინ გავჩნდი.

დავითი იჯდა, ხელში კალამი ეჭირა და ლრმად ჩაფიქრებული რალაცას სწერდა. მას სახე სიამოვნებით სასეს ტანჯვას გამოხატავდა.

— მაშ, აი რად იტანჯება დავითი! ..

რავდენს ხანს შემეძლო იქ გახერება და თვალმოუშორებლად მხესა დავითისა? მან რა იცია, რომ მე უყურებდი? მაგრამ ელისაბედის გაჯავრება? დარიკოს საოცარი ქცევა? დარიკო... და თავისუფლად, დაუმალვად იხატებოდა ყოველი ფიქრი მის პირსახეზე!

— არა, ეს ნუ, ეს კი ნუ, და სხვა რაც გინდათ, შველაფერს ავიტან...

**

კარგს გუნებაზე ვიყავი, როდესაც სახლიდან გამოველ

და მდინარესკენ გავეშურე. მდინარე დავითის სახლიდან ახლო ჩამოლიდა, და მეც ხშირად დავდიოდ სასეირნოდ. მთის პაწია მდინარე ხმაურ-რაკრაკით მორბოდა.

მისი პატარა ზეირთები ხან ერთს ნაპირს ეხეთქებოდა, ხან მეორეს; დიდს ქვას შეასქედებოდა, ნაზად გააგზავნიდა რგოლებს მეორე ნაპირსკენ და ოვითონ კი მთელს ტანით წინ მიიჩიაროდა.

ყოველთვის მეგონა და ახლაც შვონია, რომ მდინარის ხმაურობა რაღაც ამბავს გვიამბობს. ყოველთვის, როდესაც კი მდინარის პირად ყოფნა მომიხდებოდა, ყურს ვუგდებდი წყლის დაუსრულებელ ტიტინს. და ვამჩნევდი, რომ ჩემს იღუძალ ფიქრებს შეეფერებოდა წყლის უცნაური მეტყველება. გალაცებული მდინარის მოსხრობით, ხშირად ვეკო-ხებოდი:

— ჰო, როგორ, როგორ! გაიმეორე!

და მდინარეც მესაუბრებოდა თავის საიდუმლოების.

ახლაც, ამ წუთში, მდინარის ნაპირად წამოწოლილი, ჩემს მესაიდუმლებს გადავცერი და მის ჩურჩულს ყურს ვუგდებ. ისიც ყურში ჩამახის:

„დარიკო, დარიკო!“

იქნება ვსკლები, მაგრამ ჯერ არ მახსოვს, რომ მდინა- რეს შეცდომაში შევეყვანე.

მაშ დარიკო?.. დარიკო!..

ამ-ლეგბა სულისა, როცა სიმდაბლეს ვერა ჰუმრდები, სურვილი მშვენიერებისა, მაღალ-დიად მშვენიერებისა, როცა არ ძალის შესაფრად თაყვანისცე ამ მშვენიერებს!

ნუ თუ მდინარე, ნაზი, საუცხოვოდ ამეტყველებული, მარტლი მელაპარაკება? ნიავი ასე რათა ჰერის ჩემსკენ? ასე- თის ალერსით რად მეტება, რად მიღლებს გულის კარს და ისიც უჩვევ ჰანგებით რად მიგალობებს, თუ კი...

„დარიკო, და-რი-კო:“

— ჰა? როგორ, როგორ? გაიმეორე!

„დარიკო, და-რი-კო?“

მდინარესთან ერთად ნიავიც, ტყეც, ამას ამბობს...

— ჩურალ, არ გამცე, ღვთის გულისთვის არავის გააგე- ბინოთ!

„დარიკო, დარიკო!..

— სუ... თქვენი კირიმე... სუ! ნუ... ნუ ამბობთ!..

დავითის მეზობლად ერთი გლეხი-კაცი სცხოვრობს — ლეკა. გავიცანი. გონიერი, კევიანი სახე აქვს ლუკას. ის ცორის ლაპარაკობს, მაგრამ თვითონეული მისი სიტყვა ბრძნუ- ლი და დაკვირვებულია: გულჩახვეულობა შევატყე და ვუ- საყვედურე. თავის გასამართლებლად არაფერი მითხრა. მას- თან დაახლოვება მინდოდა, მაგრამ იგი მიუვალი აღმოჩნდა. ამან საშინელი დამაღლება: ლუკამ იცის მთელი ვითარება დავითის ოჯახისა. თუ არა ვსკლები, დარიკოც ლუკას გაზღი- ლია. „თუ არა ვსკლები“ იმიტომ გამბობ, რომ ლუკას არა- სოდეს არ უთქვამს დარიკოსთვის ალერსიანი, ტკბილი სიტ- ყვა. დარიკო კი ხშირად მიპარათავდა ხოლმე მას ალერსით. ასეთ შემთხვევაში ლუკა უცბიდ ჰუმრდებოდა დარიკოს უკ- მაყოფილო თვალით შექხდავდა, და წავიდოდა...

ერთხელ ეზოში დავდიოდი, მაღლობის ახლო-მახლო.

შორიდან დარიკოს ხმა მოისმა.

დარიკოს ხმა...

ნაზი იყო მისი ხმა და ტკბილი, საამო: ხან მდუმარე, გაურკვეველი სევდა-წუხილით აღსავსე, ხან ნეტარი, მხია- რული...

ეს ხმა მომესმა, დარიკოს ხმა, მისკენ წავედი.

გარს მეგლებოდა იგი ხმა, გულის სიღრმეში მწვდებო- და, სატირლად მიწვევდა, საცრემლოდ მედახდა. მივდიოდი მდინარისაკენ... წინ ალელვებული ლუკა შემომხვდა. სევდა- წუხილს შეეკრა მისი შუბლი, შეეჭმუხვნა წარბი. დამინა- ხა თუ არა, შეერთა, ბრაზით სავსე თვალით გადმომხვდა და საჩიაროდ განმშობდა. ლუკას არასოდეს არა ჰერინია თვა- ლების ასეთი გამომეტყველება... ლუკა წავიდა, შორიდან კი კვლავ დარიკოს ხმა — ისმოდა.

მე მაინც გავყევი ამ ხმას.

შორიდან დავინახე დარიკო... ხის ძირში წამოწოლი- ლიყო, თავი ხისათვის მიეყრიდნ და ოვალებ-დაუკულო მღ- როდა.

— ნეტავ უნ, ხეო უსულო, რომ ამ შვენიო ასელის სუსიტევასა ჰერძნობ.

— თქვენი ხმა მომესმა, — ვუთხირი ჩუმად, როდესაც დარიკოს მიუახლოვდი.

ჩემს ხმაზე დარიკო შეკრთა; ადგა, მდერა შესწყვიტა... უკანასკნელი ჰანგი მისი ხმისა სადღაც შორს მისწყდა.

— მე მხოლოდ ჩემთვის ვლილინებდი.

— საშიშია თქვენი ღილინი, დარიკო! იგი კაცის ვულ- ში მიძინებულ გრძნობას აღვიძებს. საშიშია!

— ხა, ხა, ხა! როგორა სთქვით? მეცინება! — შემომხედა იგრძნო რომ მისი არ მესიამოვნა და, ჩუმად მითხრა:

— უკაცრავად!

— თქვენ თქვენთვისა მღეროდით, გაგრამ აქ იყო კა- ცი, რომელიც გისმენდათ.

— აქ არავინ ყოფილა; თქვენ იცრულ.

— თქვენ ლუკა გისმენდათ.

— მერე?

— ის გაექცა თქვენს მშვენიერს ხმას.

— თქვენ რატომ აღარ გაეციო? ხა, ხა განა მშვე- ნიერს ხმას კაცი გაექცევა? აღად არ იყო მშვენიერი.

— ჩემთვის...

— ზინ წამობრძანდებით, თუ ისეირნებთ? — უცბად, მოულოდნელად შემეკითხად დარიკო და წასვლა დაპირა. არ მესიამოვნა, მაგრამ დაემორჩილდი.

ერთხანად ჩუმად მივლიოდით.

— დიდს ხანს დარჩებით სტუმრად დავითოან? — შევ- კითხე დარიკოს.

— შესაძლებელია სულაც არ დავბრუნდე სახლში.

კვლავ დაგრძელდით.

— გახსოვთ, ერთხელ მითხარით, რომ ჩემთან მოლა- პარაკება გსურდათ? — მე მზად ვარ!

— მახსოვს!

— გისმენთ.

— ეხლა მე არა მსურს მოლაპარაკება.

— თქვენი ნებაა, მე მოვიცდი!

— არა, ღმერთმანი, მაშინ აღად მინდოდა რაღაც მეთქვა, ეხლა აღარ მახსოვს, დამავიწყდა.

— როგორ თუ დაგვიწყდათ?

— აღად ისე გითხარით, უნიშვნელოდ... უშინაარსო სიტყვები, ხომ იციო, აღამიანს მალე ავიწყდება.

— რად იგონებთ?

— დავითმა მითხრა: მოგონება და გამოგონება ეს ისე- თი ორი საუნჯეა, რისთვისაც აქ ქვეყანად ლირს ცხოვრებათ. კაცი რომ მათ მოკლებული იყოს, მისი ყოფა-ცხოვრება არაფრიდ ივარებდათ.

— დავითს გამორჩენია ისეთი რაღაც, რომელიც სსე- ნებულს ორს საუნჯეს აღემატება.

— რა?

— ეს ის ძალაა, რომელსაც ლუკა გაურბოდა.

— მე თქვენი ხუმრობა არ მესმის.

— მე არა ვსუმრობ აბა, ჰერთხეთ ლუკას, რად გარ- ბოდა იგი?

— მე არა კითხავ.

— საბრალო ლუკა!! ხვალ სალამოს იმასთან მიგალ, ბევრს ამძეს ვეტყვი.

— რას ეტყვით?

— არ ვიცი, რას ვეტყვი. შეიძლება ლაპარაკის შემ- დეგ, ამ გზით დავბრუნდე!

დარიკო გასხლტა გვერდით, შემომხედა. ბოროტის ცეცხლით აენთო თვალები.

სახლის ეზოს მიეუახლოვდით. დარიკოს უნდა დავ- შორებოდი.

— უსათუოდ გამოველაპარაკები ლუკას, — კვლავ გა- ვიმორე, და თვალებში ჩაგაშეტყრდი. დარიკო გაშიოლდა.

ამან ეჭვი დამიბადა და უკვი განზრახ განვიმეორე:

— სალამოს ლუკას სახლიდან ამ კზით დავბრუნდები.

— გაჩიმდით! — შეჭყირა დარიკომ.

ლეო ქიანელი.

(დასასრული იქნება)